გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

ხარვეზის შევსების შედეგად, სარჩელის წარმოებაში მიღების, დასაშვებად ცნობის, მესამე პირის ჩართვის, მტკიცებულებათა გამოთხოვისა და საქმის განხილვის საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ

საქმე №3/2550-20

18 მაისი, 2020 წელი
თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ნანა აფციაური

მოსარჩელე - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“

მოპასუხე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2020 წლის 08 აპრილს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელმა სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში შპს „ენკა რინიუებლზის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი - 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე (ქვედა ნამახვანი) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-191 ბრძანების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 13 აპრილის განჩინებით ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“

სარჩელზე დადგენილ იქნა ხარვეზი. არსებული ხარვეზის შესავსებად მოსარჩელეს მიეცა 10 (ათი) დღის ვადა, განჩინების მოსარჩელე მხარისათვის ჩაბარების დღიდან. აღნიშნული განჩინება მოსარჩელე მხარეს ჩაბარდა 2020 წლის 06 მაისს.

ხარვეზის შევსების მიზნით, 2020 წლის 13 მაისს მოსარჩელის წარმომადგენელმა ნინო გუჯარაიძემ განცხადებით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და წარმოადგინა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი.

სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი განცხადება და მიიჩნია, რომ ხარვეზი შევსებულია განჩინებით დადგენილ ვადაში, სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 178-ე, 445-ე მუხლების მოთხოვნებს და მიღებულ უნდა იქნეს სასამართლო წარმოებაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26^2-ე მუხლის თანახმად, სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს და ამ ეტაპზე, დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც, სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს ,,ენკა რინიუებლზი" წარმოადგენს იმ სამართალურთიერთობის მონაწილეს, რომლის თაობაზეც მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შპს ,,ენკა რინიუებლზი" საქმეში მესამე პირად უნდა იქნეს ჩაბმული.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-191 ბრძანების მიღებასთან დაკავშირებული

ადმინისტრაციული წარმოების მასალების წარმოდგენა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის
საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვისა.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას 5 თვემდე.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-13, მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით, მე-19, 26^2-ე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 177-ე, 178-ე, 284-ე, 285-ე, 445-ე, 448-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელი მოპასუხე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ „წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში შპს „ენკა რინიუებლზის“ მდ. რიონზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ტვიში ჰესი 100მგვტ დადგმული სიმძლავრით და ნამახვანი-ჟონეთი ჰესი - 333 მგვტ დადგმული სიმძლავრით) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე (ქვედა ნამახვანი) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ„ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-191 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით, მიღებულ იქნეს სასამართლო წარმოებაში.

2. ამ ეტაპზე, სარჩელი დასაშვებად იქნეს ცნობილი.

3. №3/2550-20 ადმინისტრაციულ საქმის განხილვის საპროცესო ვადა გაგრძელდეს 5 თვემდე.

4. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნეს შპს „ენკა რინიუებლზი“.

5. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-200 და 448-ე მუხლებით დადგენილი წესით დაიწყოს საქმის მომზადება, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები გაეგზავნოს მოპასუხე მხარეს და მესამე პირს.

6. მოპასუხე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-191 ბრძანების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების

წარმოდგენა.

7. მოპასუხეს დაევალოს, სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, წარმოადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი).

8. განჩინება მესამე პირად ჩართვის ნაწილში შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით, მხოლოდ საქმეში ჩართული მესამე პირის მიერ განჩინების ჩაბარებიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე - თბილისი, გრ.რობაქიძის გამზირი №7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე - თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

9. დანარჩენ ნაწილში განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე **ნანა აფციაური**